<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული სკვერისთვის მომღერლის, მუსიკოსის ჯემალ ჭკუასელის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, გრიგოლ რობაქიძის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ სკვერს მიენიჭოს მომღერლის, მუსიკოსის ჯემალ ჭკუასელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ელექტრონული ფოსტა: info@napr.gov.ge

ᲐᲕᲔᲠᲓᲘ ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘᲐ
1 : 2483
NAPR

ჯემალ ჭკუასელი

(1935-2021)

მომღერალი, მუსიკოსი,საქართველოს სახალხო არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

დაიბადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში. დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიის ფაკულტეტი 1970 წელს. 1971-1973 წლებში იყო გარდაბნის რაიონის მთავარი აგრონომი. 1976-1979 წლებში საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მომღერალი; 1979-1986 წლებში ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი, მთავარი დირიჟორი; 1986-2015 წლებში იყო საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის (1999 წლიდან ეწოდა "ერისიონი") სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი; 2015 წლიდან ანსამბლის მთავარი დირიჟორი; 1997 წლიდან არის ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის აღორძინებისა და დაცვის საერთაშორისო ფონდის დირექტორი; 2013 წლის 18 მაისს ალექსანდრე წუწუნავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის წინ მისი სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა; 2013 წელს ფონდმა "ქართული გალობა" ჯემალ ჭკუასელი დააჯილდოვა ნომინაციაში ღვაწლმოსილი ლოტბარი; საქართველოს სახალხო არტისტი არაერთი ჯილდოსა და სტატუსის მფლობელი გახდა; ჯემალ ჭკუასელს და ანსამბლ "ერისიონს" მიენიჭა ქართული ფოლკლორის, ქართული საგანძურის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციისა და ნაციონალური ბიზნეს რეიტინგების კავშირის ერთობლივი საერთაშორისო ჯილდო; ასევე ოზურგეთის, შემოქმედის საპატიო მოქალაქის წოდება. 1984 წელს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.1990 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება, 1995 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. 2016 წელს მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის, ხოლო 2015 წელს ხელოვნების ქურუმი

წოდება ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. იყო ხელოვანთა ოქროს ფონდის კულტურის რაინდი, პრეზიდენტის

ბრწყინვალების ორდენის კავალერი, რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

ნინო მეზვრიშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-032215339**
თარიღი: **02/06/2022**

როგორც მოგეხსენებათ, მ/წლის მაისის თვეში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ტყემალაძემ და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ შეხვედრა გამართეს ანსამბლ ერისიონის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე განხილული იქნა თბილისში ერთ-ერთი გეოგრაფიული ობიექტისთვის ჯემალ ჭკუასელის სახელის მინიჭების საკითხი.

ხსენებული შეხვედრისა და შემდგომი კონსულტაციების დროს მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით გიგზავნით დიდუბის რაიონში არსებული სკვერისა და ქუჩის სიტუაციურ ნახაზს, მერიის შესაბამისი სამსახურიდან სათანადო წესით გამოთხოვის მიზნით. ასევე გთხოვთ, უზრუნველყოთ საკითხის მომზადება შემდგომი პროცედურებისთვის.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

წერილის ნომერი: **03-032215750**
თარიღი: **06/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილავს ინიციატივას დიდუბის რაიონში უსახელო ქუჩისთვის და სკვერისთვის ჯემალ ჭკუასელის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით (2022 წლის 2 ივნისის საქმე #03-032215339).
მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტების სიტუაციური ნახაზები დანართის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221583462**
თარიღი: **07/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 06.06.2022 წლის #03-032215750 (06.06.2022წ. #14-01221572091-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი